

# ფროეპი

უპირატესად მისთვის  
 ებთ ასოზე 1 კაპი, ჩვეულებრივად კი  
 ცეროთი — 5 კაპი, მატარებელი — 4 კაპი.

რედაქციის უფლება აქვს გა-  
 ასწროოს და შეაზღოვოს დასაწყობით  
 გამოგზავნილი სტატეიანი. დაუბეჭდ-  
 ელი სტატეიანი ავტორს არ დაუბეჭდ-  
 ება.

ცალკე ნომერი ღირს შაურად.

რედაქცია: სოლოლოვსკი, ბაღის  
 ქუჩაზე, ბ. შადინოვის სახლში, № 33.

ხელის-მოწერა მიიღება რედაქცი-  
 იაში. ბარეში მცხოვრებთათვის: Въ  
 Тифлисе. Въ редакцію „Дროება“.

გაზეთის უასი: მთელის წლი-  
 სა — 8 მ., ნახევარ წლისა — 5 მ., ხა-  
 მის თვის — 3 მ., ერთის თვისა — 1 მ.

ცალკე ნომერი ღირს შაურად.

ყოველ დღე ორშაბათს გარდა

## ოთხი თვის ხელის-მოწერა

### „ფროეპი“

მიიღება რედაქციაში — ბაღის (სადო-  
 ვის) ქუჩაზე ბ. შადინოვის სახლებში,  
 № 33

შალაქს გარეშე მცხოვრებთა ამ აღ-  
 რესით უნდა დაიბარონ გაზეთი: Въ Тиф-  
 лисе. Въ редакцію газ. „Дроება“.

უასი ოთხი თვის გაზეთისა, ე. ი.  
 1 სექტემბრიდან წლის დამლევამდინ, გა-  
 ზენით — სამი მანეთი.

## ტელეგრაფები

(ხალხა-შორის ტელეგრაფის სააგენტოსი)

ლონდონი, 29 სექტემბერს. ჩილიე-  
 ლებმა წაართვეს პერუელებს მთელი  
 სამხედრო ფლოტი.

სომლიდამ მოვიდა დეპეშა, რომ ღენ.  
 რობერტსი ინგლისის ჯარით 26 სექ-  
 ტემბერს ძაბულის მახლობლად ყოფი-

ლა; ღენ. მასისი, რომელიც ავღანელებ-  
 ბის გზის გადასაჭრელად ყოფილა გაგ-  
 ზენილი, 78 ზარბაზანი წაუერთმეფია  
 მტრისთვის. ბეკკერი და მაკფერსონი  
 ღიდ-ძალი ჯარით არიან გაგზავნილი  
 ბალაგისარის მთებიდან ძირს ჩამოსულის  
 მტრის წინააღმდეგ.

ლონდონი, 1 ოქტომბერს. გავითს  
 „სტანდარში“ დაბეჭდილია სიმლიდამ  
 მოსული დეპეშა, რომელიც გვაცნობებს,  
 რომ ინგლისის ცხენოსანი ჯარი შე-  
 სულა ავღანის სატანტო ქალაქს ძაბულ-  
 ში, სადაც 72 ზარბაზანი უნახავთ. ძა-  
 ბულის ადების შემდეგ, დარწმუნებული,  
 არიან, რომ აჯანყება დამშვიდებულია  
 უნდა ჩაითვალოს.

ბელგრადი, 29 სექტემბერს. ბუშინ აქ  
 ღილი მიწის-ძვრა იყო.

## საქართველო

ღლიური

\* \* ჩვენ შევიტყუეთ, რომ ხვალინდე-  
 ღი ღლიდამ, ე. ი. 5 ლეინობისთვიდამ,

კარებში და ხელს მიქნევს. ძარგა ხანს  
 ბოძივით ვიდექ უძრავად თვალ-დაჭე-  
 ტილი და პირ-ღია.

— მსლავ ბაღში წაშო, მე იქ ვიქ-  
 ნები! ბენაცვალე, ივანე! შენ გეთყუანე,  
 შენი ღირიშე, თუ გიყვარდე, წაშოდი!  
 მითხრა იმან და გაჭკრა.

მე უგრძობლად დავედევნე იმას უკან.  
 ბაღში შევხვდით ერთმანერთს. ისეთი  
 ბნელი ღამე იყო, რომ მე ვერ დავინა-  
 ხე ვეგენის სახის გამოშეტყუელება, მე  
 კი ზამთრის ღამესავით მოღრუბლული  
 ვიყავი.

თქვენ ჩემზედ ცუდი აზრი ხო არა  
 აგიღიათ-რა? მითხარით, ნუ მტანჯავთ?  
 მე ხმას არ ვიღებდი.

— უფ. ივანე! თქვენ გინდათ, რომ  
 დღეაჩემს უთხრათ ჩემზედ რამე? ხო არ  
 ეტყვით, რომ მე სტეფანესთან მნახეთ!  
 აა? არ ეტყვით? და ამ სიტყვით მომ-  
 ხვია ხელები.

— იქით! თაგი დამანებე! ხელი აი-  
 ღე! შევევირე მე და მოვეშორდი.

— არ ეტყვით? აღმითქვით, რომ არ  
 ეტყვით!

იყვება ჩვენს ქალაქში მთელი ძავეკასის  
 ეგზარხატის სამღვდლოების კრება; კრე-  
 ბამ უნდა ამოირჩიოს ახალი გამგეობა  
 მთელისის სასულიერო სემინარიისა და  
 ამას გარდა ზოგიერთ საეკლესიო და  
 სხვა საგნებზედაც უნდა მოილაპარაკოს.

როგორც გვითხრეს, ეს სამღვდლოე-  
 ბის კრება ოთხ-ხუთ დღეს მაინც გაგრ-  
 ძელდება. რადგან ამ კრებაზე ბევრ  
 ისეთ საგნებზე იქნება სჯა, რომელთაც  
 მთელი სამღვდლოებისთვის ღიდი მნიშ-  
 ვნელობა აქვს, ამის გამო სასურველია,  
 რომ რაც შეიძლება მომადგებელი წარ-  
 მომადგენლები ჩამოვიდნენ ამ ჯე-  
 რობით მაინც მთელისში.

\* \* \* წელს მცხეთობაზე (გასულ კვი-  
 რასა და ორშაბათს) ჩვეულებრივზე უფ-  
 რი მომადგებელი თუ არა, ნაკლები ხალ-  
 ხი არ ყოფილა. როგორც გვითხრეს,  
 კვირას სამი ათასზე მეტი ბილეთი გა-  
 ყიდულა რკინის გზისა და ორშაბათს კი  
 შეიდი ათასამდინ, ასე რომ ძალაქიდამ  
 უკანასკნელი თორმეტი ათასი ხალხი  
 იყო მცხეთას; ორი-სამი ათასი სოფლე-  
 ბიდამაც იყვნენ.

რაიცა შეეხება თვითონ ამ დღესას-  
 წაულზე დროების გატარებას, ღადაობას  
 გარდა მცხეთაში სხვა არავითარი თავის-  
 შექცევა და დროს-გატარება არ ყოფი-

## ფელტონი

პირველი სიყვარული.

(ნათარგმნი მოთხრობა)  
 (დასასრული \*)

V

საღამოზედ გვიან, როცა სანთლები  
 გააქრეს და ყველა მოსვენებას მიეცა, მე  
 შინ დაბრუნდი; ფრთხილად ცერებზედ  
 შეველ ოთახში და თითქმის თვალ-  
 ცრემლიანმა დაეუწყე ღაგება ჩემს ღა-  
 რიბს ოჯახის მორთულობას. ბადავსწ-  
 ყვიტე, ერთი მინუთი არ დავაგდო, რომ  
 შეგენია არ დავსაჯო ჩემი ამ გვარი მო-  
 ტყვილებისთვის.

ამ ფიქრში და ფაცი-ფუცში რო ვი-  
 ყავ, უფერად ჩემი ოთახის კარები გაი-  
 ღო და, ჩემდა განსაცვიფრებლად, და-  
 ვინახე, რომ შეგენის შემოაუყვია თავი

— მეტყვი! მიუხე მე თამამად და  
 მტრისხანეთ.

— ახ, უფ. ივანე! არა მჯერა, რომ  
 თქვენ მოინდომოთ ჩემი სიკვდილი! მე  
 უბედური, მე საცოდავი! მუერთი სიტ-  
 ყუაც არი გითქვამთ დედიჩემისათვის,  
 თავს მოვიკლავ; წყალში გადავარდები,  
 ყელს გამოვიჭრი! სიტყვა და დაიწყო ტი-  
 რილი.

მე აღარ ვერწმუნე იმის ტირილს და  
 უფრო მტრისხანეთ გავუხეობრე:

— მეტყვი-მეთქი, ვეტყვი, უაუოდ  
 ვეტყვი!

მე თქვენ გაკოცებთ, ყოველ დღე  
 თქვენთან ვიქნები, მხოლოდ სიტყვა მო-  
 მეციოთ, რომ არა ფერს არ ეტყვიოთ დე-  
 ღაჩემ!?

— მეტყვი, ვეტყვი!  
 — ეტყვიო?  
 — ღიახ, ვეტყვი!

— მაშ, თუ ასეა, მშვიდობით! ამის  
 შემდეგ მე თქვენ ვეღარ მიხილავთ!  
 ისეთი სიხწარითა და საცოდაობით  
 წარმოსტყვეს სიტყვები საწყალმა ქალმა,  
 რომ ჩემს გულს თათქო ქინძისთავი ჩა-

\* ) „ფროეპი“, № 202.





ლა. მაგიერად მთვრალი, მყვირალახალ-  
ნი, ზურნა, კინტოები და „პაქარნი ბი-  
ჭები“ ბლომათ იყვნენ. შესანიშნავია,  
რომ წელს მცხეთობაზე არავითარი  
ჩხუბი და აყალ-მაყალი არ მომხდარა,  
როგორც ჩვეულებრივად იცის ხოლმე,  
თვითონ რკინის გზის სტანციებზედაც  
წელს კვლავინდელზე უფრო მომეტებუ-  
ლი წყვილები და რიგი იყო.

\* \* ჩვენ მივიღეთ ამ დღეებში უფ-  
აღ. ახახისაგან ქართულად ნათარგმ-  
ნი პატარა საყმაწვილო წიგნი, სახელად  
„ბანჯგელიანი ფუტკრის ამ-  
ბავი.“ მივიღეთ, წავიკითხეთ, და ყვე-  
ლა დედამას ურჩევთ, რომ თავიანთ პა-  
ტარაებს წაკითხონ. ბედნიერი იქნება  
ჩვენი საყმაწვილო ლიტერატურა, რომ  
ამისთანა ჩინებულის სენით, კარგის აზ-  
რითა და მიმართულებით დაწერილი  
წიგნები ბლომად ჰქონდეს. მაგრამ მშრალ  
ქებას ისა სჯობიან, რომ თვით ამ წიგ-  
ნივამ ამოვიღოთ რამდენიმე სტრიქონი  
მინუშათ და ვაჩვენოთ მკითხველს—თუ  
როგორ არის ეს პატარა წიგნი დაწერილი:

თვითონ წიგნი ლამაზათ არის გამოკე-  
მული, ჩინებული ასოებია. შასი კი—სა-  
მი შაური — ცოტა ბევრია ამის-  
თანა ნამცეცა წიგნისთვის.

„მრთ დილას, როცა ბანჯგელიანი  
(ფუტკრის სახელია) მინდვრიდგან დაბ-  
რუნდა, ერთი რაღაც ვაი-ვაგლახნი შე-  
მოესმა: ეს მთელი ფუტკრები სულ ერთი-  
თანად გუგუნებდნენ და რაც კი შეეძ-  
ლოთ საშინლათ ბზერდნენ. ამ გუ-  
გუნში რაღაც მხეცის ღრიალიც ისმოდა.  
ბანჯგელიანი მიახლოვდა და შეჩერდა:  
ფუტკრები ასობით და ათასობით სკიდ-  
გან გამოცივივულყვენ და შეუპოვ-  
რად საფუტკრის გარეშე მოტრიალებ-  
დნენ. ამ ყვირილ-ღრიალით ჰაერი კვნე-  
სოდა. ამ ვაი-ვაგლახში ხოლოდლა ის-

მოდა: „დათვი-დათუნა, დათვი-დათუნ!“  
„მართლაცა და ძალიან ზარბა დათ-  
ვი იყო; თავი ჩაღუნა და ბურჯუქით  
და ღრიალით უკანა ფეხებით მილაჯუ-  
ნებდა და ფუტკრებს ძლივ იგერებდა.  
შუკვ, ვითომ რაღაც მოაკონდა, მაწრაფ-  
ლად გამობრუნდა იმ სკიკენ, საიდგა-  
ნაც ჩვენი ბანჯგელიანი იყო, სკაც რა-  
ტი ჰქრა და ზედ დედა-შიწზე დაბერ-  
ტა. სკის სარქველი დაგორდა და რაც  
კი სკაშა დარჩენილი ფუტკრები იყვნენ,  
კორიანტელივით გამოცვედნენ. დათვი  
ერთი ტრუტით ფუტკრებს იგერებდა, მე-  
ორე შუაგულ სკაში შიქო და რაც კი  
საუკეთესო თაფლის ჰურება იყო, სულ  
ერთიანათ მოტორა.

„ბანჯგელიანიმა მეტი ველარ მოით-  
მინა:

—„სუყველა ერთისათვის, ერთი ყვე-  
ლასათვის!“ შესძახა ბანჯგელიანი და  
საშინელ მხეცა სწრაფლათ მივარდა და  
თვალში ისე ჩაფრინდა, რომ სულ ვაი-  
დღედა აძახა. სიმწრათ დათვი თაფლი  
დაეიწუდა და ტყისაკენ ისე მოუხედა, რომ  
უკან არც კი მოუხედავს. მეფუტკრეც  
მალე მოვიდა და სკა ააყენა.

„საწყალი ბანჯგელიანი! იმან სკა გა-  
დაარჩინა, მაგრამ თავის-თავი კი დაღუპა:  
ისარი დათეს ისეთ ნაირათ ჩაურჭო,  
რომ ამოღება აღარ შეეძლებოდა. ამის  
გამო მალე დაჰარგა ღონე, დასუსტდა,  
ბალახზე დაეცა და სული დალია...

ნუ გგონიათ, რომ ბანჯგელიანი ძრი-  
ელ სწუხდა, რომ ის მთელი სკის მსხვერ-  
პლათ განდგ; სულაც არა, იმან კიდევაც  
შეიკრიფა უკანასკნელი ღონე და დაიბ-  
ზუილა:

—„სუყველა ერთისათვის, ერთი ყვე-  
ლასათვის“!...

ურჩესო! ბაბრუნდა ჩემგან მდინარისა-  
კენ, რომელიც შორი-ახლოს ჩამოდიო-  
და; დადგა წყლის პირას და კიდევ და-  
მიძახა:

— მტყვით, თუ არა?

— მტყვით! მივაძახე მე, როგორც  
გაქვებულმა. ჩემს გულში დიდი მო-  
ძრაობა და მღელვარება იყო ამ დროს;  
სხვა-და-სხვა ფიქრები ეჭიდებოდნენ ერთ-  
მანერთს.

— თუ ეტყვით და თქვენნი ცოდვა  
იყვეს! მშვიდობით! შემომკვილა იმან  
და გაჰქრა საღდაც!

VI.

ერთი მინუთის შემდეგ მე მომესმა,  
თითქო რაღაც ჩავარდა წყალში... ბა-  
ვეშურე მდინარისკენ და დავიწყე ყვი-  
რილი: მკვნიო! მკვნიო!

პასუხის მაგიერ მომესმა საიდამლაც  
სუტი ყვირილი. „ღმერთო ჩემო!“  
შევეყირე მე და წავიშინე თავში ხე-  
ლები. საჩქაროდ გავიხადე პალტო. საც-  
ვლები და გადავხტი წველში. რაც ძალი

და ღონე მქონდა ვებრძოდი აღიდებუ-  
ლი წყლის ზეირთებს, მივცურავდი იქით-  
კენ, საიდამაც ხმა მომდიოდა, ვეძახდი  
მკვნიას და მომდიოდა ჩემამდი უფრო  
სუსტი და სუსტი ხმა. ბევრი წყალი  
ყვლაპე; ძლივს ვსუნთქავდი; რამოდენ-  
ჯერმე კინალამ დაფიხრე და ბოლოს  
ჩქარმა წყალმა დამძლია და გაბერილი  
მიმაგლო ნაპირას. ჰარაქათ გამოლოყუ-  
მა ველარ შევსძელ ცურაობა; მოვეჭი-  
დე ბუჩქებს და, როგორც იყო, გაველ  
მეორე ნაპირას ხმელეთზედ. უცრად  
ბუჩქებიდამ გამოცივივდნენ ცხენები და  
ჩემგან დაფრთხობილნი გაიქცნენ რაც  
ძალი და ღონე ჰქონდათ!

— არიქა, ბიჭო, მასო! მჯგია, წყლის  
ქაჯი! შეიროდა ჩემს შორი-ახლოს ის,  
ვის ხმაზედაც მე მივცურავდი... ჩემ  
გვერდით ჩამოიბრძინა ორმა ყმაწვილმა,  
რომელნიც, როგორც, როგორც ეტყო-  
ბოდათ, ცხენებს უყარაულებდნენ.

ბრგძელი თმა, დასველებული, სახე-  
ზედ ჩამომეფინა; ხელ-ფეხნი მიკანკა-  
ლებდნენ, თითონ მეც ვცახცახებდი

„დროების“ კორესპონდენტის  
შეხვედრები

✕ სვანეთი ღამ, 15 სექტემბერს. ხუთს  
ივლისს ამა წლისას გარდაიცვალა კნენა  
მკატარინე (ჩიჩი) ლადიშქელიანისა, 25-  
წაბადის ასული, რომელიც თავის სილა-  
მაზით ყმაწვილობის დროს და კარგის  
მიღრეკილებით სიკვდილადმდე სავატიო  
ქალათ იყო ცნობილი, როგორც სვა-  
ნეთის ხალხში, აგრეთვე სხვა მის ნაი-  
ნობებშიაც. მს იყო პათიოსანის ზნეო-  
ბის, მღეთის მოყვარე და მდებალ ხალ-  
ხის ბედის თანამგრძობი; მისი გავლენა  
ამ მხრით თავის ქმარ თავად თენგიზ  
ლადიშქელიანზედაც დიდი იყო. ამბო-  
ბენ, რომ გვარი შეიღობით გააძაყებულ  
თ. თენგიზს ჩიჩიმ ბევრჯერ მოაშლე-  
ვინა უბედური შემთხვევა; როცა ცულ  
რასმე განზრახვას შეამჩნევდა თავის  
ქმარში, ჩიჩი ან სულ უმალავდა ია-  
რალა, გატენილ თოფის მაგიერ ცარი-  
ელს შეატყუებდაო და სხე.

ამ მოკლე შენიშვნის შემდეგ კნ.  
ჩიჩიზედ, მე ვადავდივარ მის დამარხვის  
აღწერაზედ, რომელიც მკითხველისათვის  
უინტერესო არ იქნება; ამ სტატიის მი-  
ზანიც ის არის.

როგორც ზევით ვსთქვი, კნ. ჩიჩი  
გარდაიცვალა 5 ივლისს და 8-ს დამარ-  
ხეს. ამ დღისათვის სადადიშქელიანთა  
სვანეთი: ბეჩო, მცერი, შარი და ჩვაბე-  
ხევი შეკრებილი იყო და უკანასკნელი  
სალამი უთხრეს „ღედა ჩიჩის“, როგორც  
ხალხი ეძახოდა. ბეჩოს ჩინოვნიკობაც  
მივიდა ამ დღეს თ. თენგიზ ლადიშქე-  
ლიანთან თავის გულმტკიცენლობის გა-  
მოსაცხადებლათ. მიცვალებული ოდის  
დღედ ოთახში ესვენა; კუბო ზავერდით  
და სირმით შემკული სკამებზე იდგა,  
რომლის ირგვლივ მისი შინა-ყმა ქალებ-  
ნი და კაცები ქუდ მოხდილნი და ძა-

შიშისაგან და დიდი ლოდის სიძიძე  
გული მიკვდებოდა ჯავრისაგან.

ძიძე ნაბიჯით გამოუდგე უკან ჩემ-  
გან შეშინებულ ბიჭებს და ნახევარი  
სათის შემდეგ ძიველ სოფელში, სადაც  
ბიჭების ყვირილმა გააღვიძა ერთი მო-  
სახლე. მაალეს კარები; მე შევდგი ფე-  
ხი და აანთეს თუ არა სპიჩკა, შეჰკვილა  
ერთმა ბებერმა:

— ოი, ოი, ოი!! ღეთის-მშობელო  
ძალწულო! მკვდრეთით აღდგომილო!  
და შიშით გააგლო ხელიდამ სანთელი.

ცოტა ხნის შემდეგ თითქმის ნახევა-  
რი სოფელი შეიკრიბა ჩემს გარეშე. მე  
უამბე რაშიაც იყო საქმე და არა  
ერთელ გამოვისახე პირის ჯვარი, რათა  
დამერწუნებინა ისინი, რომ მე ვიყავ  
არა ბოროტი სული, არამედ ადამიანი.

დილით ჩამაცვეს ძველი ჩოხა, ქალ-  
მები, გამაყლეს ორი გზარი და წარ-  
მადგინეს პრისტავთან და აქედამ ურმით  
პოლიციაში. აქ მე ყველაფერი დაწერი-  
ლებით დაუფარავად „მოვასხენე“ გამო-  
მძიებელს; მაგრამ, ოოვე! როდი გამიშ-  
ვეს! ლამიჭირეს პატიმრად ერთ ჭუჭყიან,





ძებში ჩაცმულნი ცხვირ-პირში და გულში იცვდნენ და ისე დასტიროდნენ მიცვალდებულსა. საათის თერთმეტზე მოპტირალი ხალხი უკვე მოგროვილი იყო სახლის წინ; კუბოც ამ დროს გამოასვენეს სახლიდან, ქუდ მოხდილი ხალხი წინ და უკან გაჰყვა სასაფლაოვდში.

აქ, წირვის გამოსვლის შემდეგ, სვანეთის სამღვდლოებამ წესი აუგო მიცვალდებულს, რომლის დროსაც ხალხი მწკრივით ირგვლივ უდგა კუბოს. ამ დროს გამოიყვანეს ცხენი მოკაზმული ძვირფასს სამკაულით; ერთმა შინა-ყმაძ ხალხის წინ ჩამოატარა ეს ცხენი, რომელსაც სხვა შინა-ყმებიც ტირილით და ვაგებით მისდევდნენ უკან. ხალხი თავში იცვნდა და იძახოდა: „იივია! ვაი ბედს მიშვევიაა!“ (ვაი ჩემს სიცოცხლესო!). შემდეგ განსვენებული მიწას მიაბარეს და ხალხი დაიშალა. მიცვალდებული დამარხეს მთავარ ანგელოზის ეკლესიის ეზოში ს. შხოტრერს.

მოსაფლავებს ამოთხრილ საფლავში ორი კუბო უნახვით, ერთი ხის, ზევით, და მეორე—სპილენძის ამის ქვეშ. ხის კუბოში აბრეშუპის კაცის ტანისამოსი იყო. ტანისამოსის მიხედვით სჩანს, რომ იმაში დამარხული კაცი პატარა ტანის ყოფილა. პერანგი და მისი ამხანაგი მთლად შენახულა, ახალუბნი კი დაცვეთილია; ნახეს ერთი რაღაც ოლარის მზგავსი, სიგრძით აღაბი, რომელიც კისერზე ჩამოსაკიდებელი უნდა ყოფილიყო, შუაში ოქრო მკედით მიქსოვილია ჯვარი ზედ წარწერით, რომელიც ვერ გავარჩიეთ: რა უნდა ყოფილიყო ეს არ ვიცო. ამავე კუბოში ნახეს ღურბინი. სპილენძის კუბოში სამი კაცის ჩონჩხი იდგა,—ერთი უფროსის და ორი პატარაებისა. ამ პატარაების თავები უმფროსის მკლავზედ ყოფილან დადებული. კუბოში იყო მოოქრული ვერცხლის

კათხა ორი დარბაზი მეოთხედი გოჯი სიმალლით და ხუთი დიამეტრში სიგანით. ამ კათხას აწერია: „თაგა“ და პერე „ი“. „ას“ წინათ ნიშანი ვერ გამოვიცანი. მესაფლავები ამბობენ, ამის მეტი კუბოში არაფერი იყო. კუბო სიგრძით საყრნია, სიშიძით ორ ფუ ზე მეტი. საუბედუროთ, კუბო დატყვეუდა: მესაფლავებმა ნახესათანავე დეძალათ იგი და გაეყოთ ნაჭრებათ, მაგრამ მერმე გაუფეს და ნაჭრები მაინც დაბრუნებდეს..

მა კუბო დღეს სვანეთის ბლადიჩინის ხელშია, როგორც ეკლესიის კუთვნილება. უტყეულია, რომ კუბო უძველესის დროებას ეკუთვნის. იმაში შესანიშნავი ვინმე უნდა ყოფილიყო დამარხული. მაგრამ ვინ? ლადიშველიანების გვარი. ამ სოფელში ამის მეტად არავინ დამარხუა. იმათი სამარხი სხვაგან არის. ლადიშველიანების სვანეთში მოსვლას ისტორია ბნელათ მოგვითხრობს, მაგრამ ჩვენ შეგვიძლია ვსთქვათ, რომ იგინი არიან სვანეთში 500—600 წელი. მაშასადამე თუ მივიღებთ მხედველობაში, რომ ამ კუბოში დამარხული იყო დიდებული მებატონე ქვემო სვანეთისა რაჩქიანი, რომლის გვარიც ლადიშველიანის წინა-მოადგრღეთ ითვლება და რომლის ვინაობაზედ მარლო ლეგენდები და ხალხური სიმღერები გვაძლევენ ცნობებს, მაშინ დაერწმუნდებით, რომ ეს სპილენძის კუბო, როგვნი სვანის ხელით დამტყვეული, კარგა ძველი დროისა უნდა იყოს..

მ. ტენგიზმა „ლაშთხალი“ (ალაბი, ქელები) გადასდგა ოცდა რვა ივლისისთვის. ამ დროისათვის მან დააცხობინა 2,000 პური სამსამი გირვანქიანი და ოთხასი პატარა პურები; მოამზადა 800 ზეკა (საწყავი, რომელშიაც ექვსი ვერმუ-

ტის ბოთლი ჩადის) არაქურა... ამ დღისათვის მთელი სვანეთი იყო მიწვეული, კაცი თუ ქალი, ვისაც უნდოდა. სალადიშველიანო სვანეთი თითქმის ყველა იყო; თავისუფალ სვანეთიდანაც ბევრი მოვიდა; ხალხის რიცხვი 1,500-დი იყო.

ხალხის მოსვლისათანავე თ. ტენგიზმა ეზოში ბოჩკებით დადგა არაყი; ვისაც უნდოდა, სვამდა სადილობადინ.

შოველ საზოგადოებამ ცალ-ცალკე მიუტირა ტენგიზს იმავე რიგით, როგორათაც რქას ივლისს სალადიშველიანო სვანეთმა როცა კაცებმა გაათავეს მიტირება, მერმე ქალებმა მიუტირეს ამ ნიართ: გაემწკრივნენ ირგვლივ ეზოში სახლის წინ, ფეხები უკან მოიკეცეს და ამნიართ დაჩოქილებს თავში მოუჯდა ერთი ღრმით მოხუცი ლახამულელი ქალი, რომელმაც ორატორის როლი დაიჭირა: მან ჩამოთვალა კარგი მხარეები მიცვალდებულისა მოთქმით; სხვათა შორის ეძახოდა მას მდაბალ ხალხის კეთილის მყოფელს. ჭკუიანს, ზნეობით საქებს, ოქროს, მერცხალს და სხვადასხვ. შოველ მის სიტყვაზე ქალები ყველანი ერთბაშით მიიტანდნენ ხელებს შუბლზე და ჩამოსობდნენ ლოყებზე და ნიკაპ-ქვეშ მიიტანდნენ; შუბლზე ხელების მიტანისდროს დაჩოქილნი აიძარბებოდნენ წელში და როცა ნიკაპ-ქვეშ მიიტანდნენ, მაშინ იჩევ ჩაიღუნებოდნენ და დაჩოქილნი ყურს უჯდებდნენ მომთქმელ ქალის სიტყვებს.

მს საზოგადო ჩვეულება. სვანეთში საინტერესო სურათს წარმოადგენდა ოთხასამი სხვა და სხვა ნიართ ჩაცმული ქალების ამ გვარი მოთქმა. ქალებმა რომ გაათავეს, ხალხი სადილათ დასხდა, პური და არაყი სამარხო საქამადითურთ

ბნელ ოთახში და უცდიდნენ,—რითი აიხსნებოდა ჩემი მონაწილეობა საცოდავი მეგენიას სიკვდილში. ღმერთო, რამდენი ტანჯვა გამოვიარე! შემომეპარა ციება და დღე მუდამ მაციებდა. ძილით არ მეძინა, ცეცხლს არ მაძლევდნენ და ბნელა ოთახში მოჩვენებასავით მეღანდებოდნენ ათასნაირი რამეები; მე ესტიროდი, როგორც დედის მუქუსგან მოგლეჯილი და გადაგდებული ბავშვი; აი, ვითომ მეგენია ანგელოზის მზგავსად გაფრინდა ჩემ წინ; იმისი მწუხარე პირის-სახე ანათებდა და მესმოდა იმისგან საყვედურები უდროვოთ გამოსალმებისათვის წუთი სოფლისგან. ლაჩქილი ვევედრებოდი იმას მოტყეებას; ვიხდიდი ბოდიშს და ვპირდებოდი უკან გაყოლას იმ გზით, რა გზითაც ის მომორდა საქაოს!

— შუალო ივანე! მომესმა ამ გვარ მდგომარეობაში მყოფს ერთ საღამოზედ ხმა.

— აქ გახლავართ, რა გნებაესთ? — წამობრძანდით, თქვენზე ქალალი მოვიდა.

ავედექ ზარმაცად და წაველ. ბნელ დერეფანში ერთხელ კიდე მომეჩვენა მეგენია და საჩქაროდ მომშორდა თვალებიდან.

— ლაბრძანდით, საყვარლო ძმაო! მიმიპატიჟა გამომძიებელმა, რომელმანც დაკვირვებით ამხედ-დამხედა, თუმცა კი იმან სამჯერ-ოთხჯერ ჩამომართვა ჩვენება და სამჯერ-ოთხჯერვე შემაბრძანა ოთახში, ანუ სატუსალოში...—ღღეს საღამოს, ათ საათზედ თქვენ წავიყვანებენ თქვენი სასწავლებლის უფროსთან.

მე გულგრილად მოვისმინე ეს განაჩენი და ველოდი იმის აღსრულებას. ამ დროს გამომძიებელი რაღაც საქმისთვის კარზედ გავიდა საჩქაროდ და მე დავრჩი მარტოკა; თვალი გადავაღლე სტოლს და იქ დავინახე ქალალი, რომელზედაც ეწერა: „მეგენია, მაჯადის ქალი...“ საჩქაროდ ვსტაცე იმას ხელი და წავიკითხე:


„რომელიცა ჩვენ მიერ მოხდა გამოძიება, რათა მეგენია მაჯადის ქალისა, აღმოჩნდა რომელ იგი არ დამღრჩვალა და არცა ქონია განზრახულობა დახრჩო-

ბისა და აწ იგი კანონიერისა წესითა ჯვარწერილ არს კოლლექციის სეკლეტარზედ, სტუფანე მიხეილის ძეზედ N—ზედ, ნებართვითა თავის მშობლისათა. ხოლო ხმაურობა იგი, რომელიცა მოხდა წყლის პირას, ვითარცა აღამიანის ჩაფარდის დროს წყალში, მოხდებოდა წყლის მომბალი ნაპირის ჩანგრევისა გამო, რომელიცა მოზვადებოდა. ღა ამისათვისა უ. ივანე პეტრეს ძე N—ზედ ეტყები იმის სიკვდილის შესახებ ტყუილნი და უსაფუძვლონი არიან, და ამის გამო მოგიწერ თქვენა, რათა ხსენებული პირი წარადგინოთ იმ სასწავლებლის უფროსთან, რომელშიაც იგი სწავლობს“...

სირბილაძე—ბედკრულაძე.

ზორი, 21 სექტემბერს.





ქართული

ბლომათ იყო. საღამოს დამთვრალი ხალხი დაიშალა.

ამ „ლაშხვალს“ გარდა თ. თენგიზ ღალიშვილიანი შემოდგომისთვის „აღას“ აპრობს თავის მეუღლის გარდაცვალებულის კნ. ჩინისთვის. აპრობენ, ამ აღასისათვის იგი სამოც ხარს, ოც ძროხას და მასთან რამოდენივე წერილ საკლავებს ამზადებსო. ამას, რასაკვირველია თავისი მასალა ჰური და არაყი მოუწოდება და მკითხველი ადვილათ წარმოიდგენს, რომ ეს ხარჯი „გვარიანი“ ხარჯია.

თ. ვსუფალი სვანი.

შასი ჩვეულებრივზე ბევრად უფრო იფია.

ამ გვარივე ნამდვილი წმინდა სანთელი იყიდება აგრეთვე თფილისშიაც, სიონის ულიცაზედ, მნანოვის ქარვასლაში.

(10—8)

ქართული წიგნის სასწავლი

ღელანი

(პროპისი) სურათებით

შედ. ან. ჯულელისაგან.

გამოვიდა და იყიდება შემდეგ ადგილებში:

თბილისს: ჩარკვიანის, მათანოვის და ბრიჭუროვის წიგნის მაღაზიებში,

ქუთაისს: სასულიერო სასწავლებელში და ანტ. ლორთქიფანიძის ბიბლიოთეკაში,

სამეგრელოში: სასულიერო სასწავლებელში დ. სუჯუხნას მოფურების ლუქანში და აბაშაში უფ. ანტ. ქველიასთან შკოლაში,

განცხადებანი

ქუთაისში, მიხაილოვის ქუჩაზე, ხეჩინოვის სახლებში, ივანე კურსოვის მაღაზიაში იხილვება ნამდვილი, თეთრი წმინდა (თაფლის) სანთელი

თელი

გიგლიოგრაფიული ცნობა

პირველ-დასაწყისი კურსირუსული ენისა ქართულთათვის, შედგენილი გ. ძალანდარიშვილისაგან, მიეცემა გამოცემა ვადასწორებული და დამატებული ი. ბოგებაშვილისაგან, დაიბეჭდა და იყიდება ბრიჭუროვის წიგნის მაღაზიაში ქუჩის ხიდთან. შასი ეგზემპლიარისა ათი შაური. მაგრამ ვინც ოცს ეგზემპლიარს ერთად იყიდა ნაღდს ფულზედ, იმას წიგნი დაეთმობა ცხარა-შაურათ, ხოლო ვინც ორმოც-ღა-ათზე შომეცებულს წაიღებს ერთათ ნაღდსავე ფულზედ, მას ეგზემპლიარი მიეცემა ორ აბაზათ.

(15—2)

მ. ზ. უ. რ. გ. ე. თ. ს: ზაქარიაშვილი

ლ. ბ. ე. ლ. შ. ი. შ. ზ. ო. რ. ს: სასულიერო სასწავლებელში,

თელავს: სასულიერო სასწავლებელში და ხირსელოვის წიგნის მაღაზიაში,

სიღნაღს: უფ. ძ. ბალაშვილთან. შასი ერთის ეგზემპლიარისა აბაზი.

გ. ჩარკვიანის

ქართული წიგნის მაღაზიაში, ქაშვიტის ეკლესიის შენობაში, № 1 და იქილვება შემდეგი ახალი ქართული წიგნები:

თვალ-სახინო სწავლა ახლად შესრულის ყმწვილებისათვის სახალხო შკოლებში. შედგენილი მიხ. ჭიჭინაძისაგან—ფასი 40 კაპ.

ბანჯგელიანი ფუტკარი—თხ. აგენაროუსისა ნათარ. ალ. აბაზიძისაგან—ფასი 15 კაპ.

ზლახის ნამბობი მოთხრობა ილია ჭავჭავაძისა. ბამ. პრ. საფაროვისაგან ფასი 25 კ.

რამდენიმე სურათი ყახალის ცხოვრები დამ პოემა ილია ჭავჭავაძისა გადმობეჭ. ყურნ. „ივერილიდან“ ფასი 10 კაპ.

ვოლი თუ გინდა ეს აირის, ვოდევილი მასილ აბაშიძისა ფასი 10 კ. და სხვა-და-სხვა ქართული წიგნები.

Въ Тифлисъ. Книжный магазинъ Григорія Чарквіани въ зданіи Кашветской церкви, № 1 и 2.

(3—3)

Table with columns for 'რპ. ზნა.', 'დღია.', 'საღამ.', 'II კ.', 'III კ.', 'ტელეგრაფი', 'მან. კაპ.', 'მაზანდა', 'მან. კაპ.', 'თფილისის სამკურნალო.' containing various numerical data and text entries.